საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# სოციალისტ-ფედერალისტი

კვირა მაისი 22
1921 წ.
№ 68
ფასი 100 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათს, 23 მაისს ამა წლის, შესრულდება ნახევარ წლის თავი მაღალ ნიჭიერი მსახიობის

**ლადო მესხიშვილის**

გარდაცვალებიდან. ამავე დღეს ნაშუადღევის პირველ საათზე გარდახდილი იქნება პანაშვიდი გარდაცვალებულის საფლავზე. პანაშვიდი—დიდუბეში 32

---

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინო ბექანის ასული ყიფიანისა ამით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი საყვარელ მეუღლის

**კოტე დიმიტრის ძე ყიფიანის**

გარდახდილ იქნება კვირას, მაისის 22-ს, ქვაშვეთის ეკლესიაში დილის 10 საათზე.

---

ღრმად დამწუხარებულნი ძმისწულები ელისაბედ, ბარბარე და ნინო ყიფიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი საყვარელ ბიძის

**კოტე დიმიტრის ძე ყიფიანის**

გადახდილ იქნება კვირას მაისის 22-ს ქვაშვეთის ეკლესიაში—დასაწყისი დილის 10 საათზე. 31

---

გიორგი ბექანის ძე და პელაგია კონსტანტინეს ასული: ალექსანდრე, ბექან და შალვა, რძალი მარიამ ივანეს ასული ტატიშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი ბიძის

**კოტე დიმიტრის ძე ყიფიანის**

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, მაისის 22, შუადღის 12 საათს ქაშვეთის ეკლესიაში. 1032.

---

რაჟდენ იაგორას ძე ცუცქირიძე მეუღლით, ალექსანდრე, ლავრენტი და ნინო ცუცქირიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს მათი ძვირფასი და დაუვიწყარი მეგობრის

**მიხეილ ივანეს ძე დარჩიაშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება დღეს, დილის ათ საათზედ საკუთარი ბინიდან, ანდრეევის ქუჩა № 73 დიდუბის ღვთისმშობლის ტაძარში. 1028

---

ნიკოლოზ იოსების ძე, ოლღა დიმიტრის ასული და სოფიო ნიკოლოზის ასული ქრელაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი ძვირფასი მეგობრის

**მიხეილ ივანეს ძე დარჩიაშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, მაისის 22-ს დილის ათ ს. საკ. ბინიდან ანდრეევის ქუჩა № 73 დიდუბის ღვთისმშობლის ტაძარში. 1016

---

რკინის გზის სოციალისტ-ფედერალისტთა კოლექტივი იუწყება ძვირფასი ამხანაგის

**მიხეილ ივანეს ძე დარჩიაშვილის**

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება დღეს დიდუბის ეკლესიაში 1020

---

საქართველოს რესპუბლიკის სახაზ. რკინის გზების სამხალო სამსახურის მოსამსახურენი ამით აუწყებენ ამხანაგთ და თანამოსამსახურეთ, რომ 19 მაისს გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი და მეგობარი

**მიხეილ ივანეს ძე დარჩიაშვილი**

გამოსვენება საკუთარი ბინიდან (ანდრიას ქუჩა) დილის 9 ნახევარ საათზე დიდუბის ტაძარში, დაკრძალვა იქვე გალავანში. 1029.

---

საშინელი უბედურებისაგან გულდათუთქული და ღრმად დამწუხრებული მეუღლე თამარ მიხაილის ასული ნიჟარაძე-აროშიძისა და ბაბუა ბეგლარ ნიჟარაძე, უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**შალვა სპირიდონის ძე აროშიძის**

უდროოდ ტრაღიკულად დაღუპვას ქ. კავკავის ხეობაში 1920 წ. ივნისის თვეში (როგორც ეს დღეს გამოირკვა), რომლის ტირილის დღე დანიშნულია მიმდინარე წლის მაისის 24-ს სამშაბათს—დიდ სოფელ ქვიანში. (გურია-ნიგოითის სადგური) 1005

---

საშინელი უბედურებისაგან გულდათუთქული და ღრმად დამწუხრებულნი ძმები აგაფონ და ონისიფორ სპირიდონისძე აროშიძენი, დები თამარ და ანასტასია, სიძე სამსონ იზრაელიძე, უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**შალვა სპირიდონის ძე აროშიძის**

უდროოდ ტრაღიკულად დაღუპვას ქ. კავკავის ხეობაში 1920 წ. ივნისის თვეში (როგორც ეს დღეს გამოირკვა), რომლის ტირილის დღე დანიშნულია მიმდინარე წლის მაისის 24-ს დილით სამშაბათს—დიდ სოფელ ქვიანში. (გურია-ნიგოითის სადგური). 1005

---

საშინელი უბედურებისაგან გულდათუთქული და ღრმად დამწუხრებულნი ბიძაშვილები: ივანე, სევერიანე და ზოსიმე ნესტორის ძე აროშიძენი, ბიცოლა ეკატერინე მაქსიმეს ასული დუდუჩავა—აროშიძისა და რძალი სალომე ნიკოლოზის ასული მჭედლიძე—აროშიძისა უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**შალვა სპირიდონის ძე აროშიძის**

უდროოდ ტრაღიკულად დაღუპვას ქ. კავკავის ხეობაში 1920 წ. ივნისის თვეში (როგორც ეს დღეს გამოირკვა), რომლის ტირილის დღე დანიშნულია მიმდინარე წლის მაისის 24-ს, სამშაბათს დიდ სოფელ ქვიანში. (გურია ნიგოითის სადგური). 1005

---

დამწუხრებულნი ანნა ვასილის ასული ფეოფილაქტოსი შვილებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის პანაშვიდი საყვარელი და დაუვიწყარი ქმრის და ძის

**ლარისა ფეოფილაქტოსის**

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება კვირას, მაისის 22, ვერის წმ. ნიკოლოზ ს სასაფლაოზე 12 საათზე. 1018

---

მწუხარებაში მყოფნი დები: ეკატერინა ცინცაძე, ელენა ეზრალიძისა ნინა ჩიხლაძისა, ძმები: ლუკა, ნესტორი და დიმიტრი ეზრალიძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ კვირას, მაისის 22 გადახდილი იქნება წლის წირვა დიდუბის ეკლესიაში დილის 10 ს. მათთვის დაუვიწყარი

**თეოფილინა სიმონის ასული ეზრალიძე-მახარაძისა**

1022

---

ქვრივი ძალთა შიოს ასული შვილებით: ხადია, ნინა, გრიშა და სიძე ტიფუშ ალექსანდრე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას მაისის 22-ს გადახდილ იქნება დაუვიწყარ

**მერაბ ნიკოლოზის ძე პაპანაძის**

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში, წირვის დასაწყისი დილის 9 საათზე. 1024

---

ღრმად დამწუხრებულნი ნადეჟდა სტეფანეს ასული და კონსტანტინე ზაქარიას ძე ქელიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ მაისის 24 ს იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი წლის თავზე გმირულად დაღუპულ ჩვენი დაუვიწყარი ძვირფასის შვილის

**შ ა ქ რ ო ს ი**

სოფელ საგარეჯოში (ტფ. მაზრა) ღვთისმშობლის საყდარში. 1011

---

ღრმად დამწუხრებულნი ნინა მიხეილის ასული და გაბრიელ ზაქარიას ძე ქელიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ მაისის 24 იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი წლის თავზე გმირულად დაღუპულ ჩვენი ძმის-წულის დაუვიწყარი,

**შ ა ქ რ ო ს ი**

სოფელ საგარეჯოს ღვთის-მშობლის საყდარში. 1031.

---

## განცხადება

იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასჯა-გასწორების განყოფილებასთან არსებულ პატიმართა მეთვალყურეთა კურსებზე ლექციებს კითხულობენ და მეცადინეობენ შემდეგნი პირნი:

1) გ. ქოქაშვილი (მიქად მოქმედ. სახალ. კომ. მოადგილე): საბჭოთა კონსტიტუცია.

2) პროფ. შ. ნუცუბიძე: ფსიქოლოგია.

3) პროფ. ასათიანი: ფსიქოპატოლოგია (პათოლოგიური ტიპები).

4) გ. თარხნიშვილი: მოკლე მიმოხილვა, საქართველოს სისხლის სამართლის უფლებისა რუსეთთან შეერთებამდე.

5) თ. ბეგიაშვილი (ტფილისის საერთო განყოფილების კურსების ლექტორი): ქართული ენა.

6) ა. გრიგოლია: საპატიმრო ადგილების დაცვისა და პატიმართა მხლებლების წესი.

7) ლ. შურღაია (კურსების ხელმძღვანელი): ძირითადი პრინციპები საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისა სისხლის სამართლის საქმეში, პატიმართა მეთვალყურება, პრაქტიკული მეცადინეობისა და კურსების საერთო ხელმძღვანელობა.

კურსებზე მიღება გაგრძელებულია მაისის 23 მდე. მიიღებიან სამხედრო სამსახურის სტაჟ გავლილი და გამოცდილი პირნი ყოფილი ოფიცრები, (აგრეთვე ქალები (განზრახულია ცალკე) გამასწორებელ სახლის დაარსება პატიმარ. ქალთათვის). კურსები გაგრძელდება სამი კვირა და მიზნად აქვს საპატიმრო დაწესებულებათა უფროსებისა და მათ თანაშემწეების მომზადება. 35

---

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურად ხირურგი (914 წ 606). სქესობრივი უძლურება, ვენერიული, ხუხუნათი და შედეგები.

ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

---

კბილის ექიმმა

**აპოლონ ურუშაძემ**

განაახლა ავადმყოფების მიღება 9—1 ს. და 4—7 ს.

ბებუთოვის ქუჩა 13, ბინა 1. 29

---

## განათლების მუშაკთა კავშირში.

კომუნისტების გაბატონების შემდეგ საქართველოში მოქალაქეთა ახალი დიფერენციაცია მოხდა. დიფერენციაცია წინსვლელობის ეტაპია, მაგრამ ამ შემთხვევაში სახიფათო იერს იღებს. კომუნიზმი, არსებითად ეროვნულ მოძღვრების მატარებელია მაგრამ ლამის არის ეროვნულ წინააღმდეგობის იარაღად აქციონ საქართველოში, მათ ვისაც კომუნიზმთან არაფერი აქვს საერთო.

დღეს საქართველოში, კომუნისტობას მეტ წილად ის ხალხი, ვისაც არაფერი აკავშირებს ჩვენს ქვეყანასთან. არა გადახედეთ ჩვენს ცხოვრებას. მიდით ახლო, გაეცანით. შეიხედეთ ამა თუ იმ პოლიტიკურ დაწესებულებაში. ნახავთ ერთს: ყველაზე ნაკლებია ქართველი და, და ყველაზე მეტი არა ქართველობა. როგორ მოხდა?—ამ კითხვაშია მთელი საქმეც. როგორ მოხდა, რომ მაგ. სომხები უფრო რადიკალები აღმოჩნდნენ, ვიდრე ქართველები, იატონიულად ამ რადიკალიზმის იდეოლოგები და მებრძოლები? ვინ არ იცის, რომ საქართველოში სომხობა, მასსიურად აღებული ისეთ სოციალურ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელიც ვერასოდეს ვერ შეიგნებს კომუნიზმის სიმართლეს. ესენი ხომ en masse ვაჭრები იყვნენ, ხომ ქართველ ერის შეგნებაში სომხური ელემენტი საქართველოში სხვა გვარად ვერც კი დაიხატა.

სინამდვილეც ასეთი იყო და არის. მაშ რა არის მიზეზი, რომ დღეს თითქმის ყველა სომეხი საქართველოში კომუნისტობს? რა იყო მიზეზი, რომ ყველა გაქართველებულ დაწესებულებათა გარეშე დარჩენილი რუსი მოხელეები ალტაცებით შეხვდნენ კომუნისტურ სიტყვას? კომუნიზმი? დასაჯერებელია არა.

მაგალითისთვის მოვიყვან ორ მაგალითს. მოგეხსენებათ არსებობს ე. წ. „грукавроста" ამ ამოცანა დაწესებულებაში ყოფილა ცხრაასამდე მოხელე. განათლების და სოციალისტური კულტურის მუშაკთა კონფერენციაზე უნდა ამოერჩია ამ დაწესებულებას თვრამეტი კაცი. ამ 900 კაცში ქართველობა არ აღმოჩენილა.

18 დელეგატში არც ერთი ქართველი არ არის. მეტ წილად სომხები არიან. რას ნიშნავს ეს? სად ვიმყოფებით, საქართველოს დედა ქალაქში თუ როსტოვის ნახიჩევანში? ტფილისში თუ ასტრახანში? ან გადაშენდნენ საქართველოში რევოლუციონერები? არა. მოშენდნენ საქართველოში წინააღმდეგ განწყობილი ელემენტები და ინაწილეს ჩვენს ქვეყანას. ასეთია სინამდვილე.

მეორე მაგალითი: ამ ორი დღის წინად ტფილისში მოხდა განათლების მუშაკთა კრება, იმავე კონფერენციისათვის დელეგატების ასარჩევად.

პრაქტიკამ გამოარკვია, რომ ამ კრებებზე კითხვა ყოველთვის ეროვნულ ნიადაგზე მწვავდება. თუმც ქართველობა სამისო საბაბს არ იძლევა არასოდეს. ძველიდან დღემდე, მასწავლებელთა კავ-

# თხოვნა საზოგადოებისადმი

## მიხეილ (მიშა) კონსტანტინეს ძე პალკოვნიკი იოსელიანი

მსახურებდა პირველ ქართულ ქვეითა პოლკში კოჯორთან ბრძოლის დროს იყო მოკლული თებერვლის 24-ს ვისაც რაიმე ცნობა აქვს მის დაკრძალვის შესახებ უმორჩილესად ვთხოვ აცნობოს მის დამწუხრებულ დედას შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი გოსპიტლის ქუჩა—არტილერიის შესახვევი ჟუჟუნაშვილის(?) სახლი ალექსანდრა აბაშიძის ასულ იოსელიანისას.

1017

შირის კრებებზე, ერთი არა-ქართველიც რომ დასწრებოდა, თავმჯდომარე ორ ენაზე აწარმოებდა კრებას, თუმც სხვა სახელმწიფოში ამის მაგალითს ვერ მიჩვენებენ. ყველა სახელმწიფოს მოქალაქე ვალდებულია ალაპარაკდეს იმ ენაზე, რომელ სახელმწიფოშიც ის მოქალაქეობს.

ვის არ ახსოვს მასწავლებელთა კრება სახ. დრამის თეატრში, როდესაც ისტერიულად მოითხოვდნენ რუსულ ენაზე საუბარს. და გუშინწინდელი კრებაც ამ ხასიათის იყო უმთავრესად. ქართველი მასწავლებლები შეთანხმების გზას დაადგნენ. სცდილობდნენ დელეგატთა სიის ისე შედგენას, რომ ყველა ელემენტი პროპორციულად ყოფილიყო წარმოდგენილი. საარჩევი იყო 45 დელეგატი. ქართველ მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა კიდეც გამართა მოლაპარაკება ეროვნულ სექციებთან, და შეთანხმებული სია წარმოადგინა, სადაც ქართველებს ჰქონდათ 30 ადგილი, არა ქართველებს კი 15. აქ თუ გნებავთ პროპორცია დარღვეული იყო არა ქართველთა სასარგებლოდ. ეს მსხვერპლი საქმის მშვიდობიანად მოსაგვარებლად იყო გაღებული. მაგრამ გაიხსნა კრება და შეიქმნა ჩოჩქოლი. ამ სიით არ დაკმაყოფილდნენ. „კომუნისტების“ ჯგუფმა მოიწადინა ახალი სიის შემოტანა, და დასძინა, რომ ამ ორ სიას ეყრიოს კენჭი, და ხმებიც პროპორციულად განაწილდეს. თანაც სურდათ დაეყოლიებინათ, თუ სხვა სისტემით მოხდა არჩევნები, არ დავამტკიცებთო. ამ წინადადების ფარული აზრი რასაკვირველია ქართველისთვის აშკარა გახდა. ქართველთა სიაში უცხოელები იყვნენ. „კომუნისტების“ სიაში კი მეტ წილად სომხები და შიგა და შიგ რუსები და ქართველები. ორივე სიით კი საბოლოოდ არა—ქართველები თუ არ გაეიდოდნენ მეტად, ქართველთა რიცხვი ძაინც(?) ავერ გადააჭარბებდა. ეს იყო ფარული აზრი. კომუნიზმს აქ ვერ დავინახავთ, რადგან სია, რომელშიც მალოქავები(?) და კომპანია იქნება დასახელებული, ჩვენს წარმომადგენელში კომუნისტურ სიად ვერასოდეს ვერ გადიქცევა. თანაც ამ მეორე სიის ავტორებმა მოითხოვეს, რომ პირველი სიიდან არავინ არ ყოფილიყო ამოშლილი, თუმცა პირველი სიის წარმომდგენებმა თავიდანვე განაცხადეს, რომ ვადგენთ სიას შეთანხმებისათვის, ხოლო თუ ახალი სია გაჩნდა, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ შევასწოროთო. ბოლოს სია შესწორებულ იქნა. ქართულ სიაში დარჩნენ მხოლოდ ის რუსები, რომლებმაც საჯაროდ განაცხადეს ჩვენს სიაში ყოფნის სურვილი, რისთვისაც კრების უმრავლესობამ ოვაციები გაუმართა. ასე იცის ქართველებმა კეთილშობილ მეზობლების პატივისცემა.

მოხდა არჩევნები. სიმართლემ თავისი გაიტანა.

ქართულმა სიამ მიიღო 332 ხმა, მოწინააღმდეგის 125.

ადგილების პროპორციაც ასე შეიცვალა: 33 ჩვენ და 12 იმათ. ალბად არ ეგონათ რომ ასე დამთავრდებოდა. არითმეტიკაში მოსტყუვდნენ. კრების დასასრულს კი კრებამ დაავალა მასწავლებელთა კავშირის ბიუროს გაეგოს დანაშაულებით, „груковрост“-ში რა სისტემით მოხდა არჩევნები, რომ გავიგოთ, პროფ-კავშ.—ცენტრის წარმომადგენლის ნათქვამი სიმართლის კარნახი იყო თუ დიპლომატიური ხერხი. შემდეგისთვის მაინც გვეცოდინება უფრო კარგად, ვისთან გვაქვს საქმე. ასეთი იყო ეს მეორე მაგალითი. აქაც როგორც ხედავთ, ეროვნული ბრძოლა გადიშალა, ქართველების წინააღმდეგ, და ჩვენდა სამწუხაროდ კომუნიზმის დროშის ქვეშ. მე არ ვეკითხები იმ ქართველ კომუნისტებს, რომელნიც იმ კრებაზე მოვიდნენ „ხელმძღვანელებად“, ხედავენ თუ არა ყველა ამას? თუ ვერ ხედავენ და არ მუშაობით(?) თავის თავისთვის ასეთი კითხვა:—„ისე როგორ დაეცა საქართველო, ისე როგორ გაკონტრ-რევოლუციონერდა მათი სამშობლო, რომ რევოლუციის ისტორიულ ქვეყანაში, პროპაგანდისტების ამ დიდ კლუბში საკვეთ პირები გვასწავლიან რევოლუციას? როგორ? ქართველი რევოლუციონერები რუსეთში ჰმეთაურობდნენ ყველა რევოლუციას, და საქართველოში კი უნარი დავკარგეთ?

მეტად გამჭვირვალეა ის წითელი ქსოვილი, რომელსაც ბევრი იფარავს თეთრ, ყვითელ და შავ კანზე. სახს. კანი კი გამოგიცვლიათ, გული გაქვთ ისევ ძველი." აკი გამოგცადეთ კიდეც ქართველმა მასწავლებელმა.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

## ცხინვალის რაიონი საფრთხეშია.

იმ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქმნა ცხინვალის რაიონში და საერთოდ ოსების მოსაზღვრე ქართულ სოფლებში, დღეს ქართველი მოსახლეობა კვნესის და გმინავს.

ის ჯოჯოხეთი, რომელიც გამეფებულია დღეს ამ სოფლებში, კარგის მომასწავებელი არ არის და თუ მას დროზე წამალი არ დაედო, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მეტად მძიმე შედეგს მივიღებთ. შეიძლება ჩვენში დღეს კიდევ მოიპოვებიან ისეთი გულუბრყვილო პირები, რომელნიც გადმოგვცემენ და ჩვენ მდგომარეობის გაზვიადება დაგვწამონ და ეხლანდელი ოს-ქართველთა დამოკიდებულება იდეალურად დახატონ, მაგრამ ეს იქნება ღალატი ოსებისაც და ქართველებისაც, ან და შეიძლება წინდაწინვე განზრახული სურვილიც, რომ ოს-ქართველთა ეხლანდელი გამწვავებული მდგომარეობა კატასტროფით გათავდეს.

ამას წინადაც იყო მოხსენებული გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტ“-ში თუ როგორ დამრწიან ოსები ქართულ სოფლებში და იჩემებენ ქართველთა ავლადიდებას—საქონელს.

და აი დღეს ეს ვაკხანალია არ დამთავრებულა და უფრო მეტი სიმწვავით სწარმოებს, ვიდრე პირველ ხანებში, რადგან ოსების ასეთ მიდრეკილებას კანონიერი დამცველიც აღმოუჩნდა სამხრეთ ოსეთის საოლქო რევკომის სახით. მართალია, ბევრია ისეთი შემთხვევა, როდესაც დაზარალებული ოსი თავის დაკარგულ საქონელს პოულობს და ქართველებიც ხმის ამოუღებლივ უბრუნებენ მათ მიუხ დავად იმისა, რომ ეს საქონელი მათ ფასად აქვთ შეძენილი, მაგრამ უფრო მეტი შემთხვევებია, როდესაც ოსები ბოროტი განზრახვით იჩემებენ სხვის საკუთრებას და ხშირად თავისი გააქვთ.

სამხრეთ ოსეთის საოლქო რევკომს აქვს დაწესებულება, რომელსაც „Отдел уголовного розыска“-ს უწოდებენ, და აი ეს დაწესებულება ისეთ განკარგულებებს იძლევა რაიონში, რომლებსაც უკანონობის და თვითნებობის ბეჭედი აზის. ჩვენ შემთხვევა გვქონდა გავცნობოდით ერთს მანდატს, რომელსაც ზემოდასახელებულ დაწესებულების უფროსის 4 მაისის მე 139 ნომრის თარიღით აძლევდა ერთ ოსს, სახელდობრ ნიკ. კობულოვს მასზედ, რომ მას, კობულოვს, უფლება ჰქონდა მინიჭებული დაეტუსაღებინა ყველა, ვისაც კი იგი მოისურვებდა, ხოლო წინააღმდეგობის გაწევის დროს იარაღი ეხმარა*) ამ მანდატით კობულოვი ჩვენ სოფელ მერეთის რევკომში ვნახეთ, სადაც იგი რევკომს უკანონოდ ერთ პატარა საქმეზედ ედავებოდა და თანაც თავის მანდატით აშაყობდა. ეს კიდევ არაფერი. სამხრეთ ოსეთის რევკომს რაღაზედაც მიუმართნია სოფ. მერეთის რევკომისათვის (რასაკვირველია რუსულად) და თანაც დამუქრებია, ჩქარა მიპასუხე, თორემ დაგსჯითო. უნდა შევნიშნო, რომ მერეთი წმინდა ქართული სოფელია, შიდის ტყვიავის საზოგადოებაში სამხრეთ ოსეთის რევკომთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს და და ჩვენ გვიკვირს, რომ ოსების რევკომი ისეთ კადნიერებამდის მიდის, რომ თავის თანავე რევკომს დასჯით ემუქრება. მკითხველი ამის შემდეგ ადვილად მიხვდება, თუ სამხრეთ ოსეთის რევკომის გავლენაში მყოფი ქართველი სოფლები რა სიამ-ტკბილ ყოფაში იქნებიან. ხოლო რომ სამხრეთ ოსეთის საოლქო რევკომის გავლენის ქვეშ ბევრი ქართველი სოფელი მოექცა, ეს სინამდვილეა, რადგან მიტინგებზე რევკომის წარმომადგენელი ხალხს უცხადებს, რომ ამიერიდან ყოველ საქმის შესახებ ხალხმა მიმართოს სამხრეთ ოსეთის საოლქო რევკომს დ. ცხინვალში. უნდა კი ვთქვათ, რომ ამ მოვლენას ქართველი ხალხი დიდი უკმაყოფილებით შეხვდა,—იგი ამბობს: თავებს დავიხოცავთ ანდა აქედან ავიყრებით და ოსებს კი არ დავემორჩილებითო...

ჩვენ დაწვრილებით არ მოუყვებით მკითხველს თუ რა ყოფაში არიან ოსებთან ახლო მდებარე ქართული სოფლები. ვიტყვით მხოლოდ მოკლედ, რომ რამდენიმე სოფელი გადააწვევრია ოსებისაგან, ასამდე კაცი საბძლებში გამომწვარია და მოკლულია, ხოლო მათი ქონება მთლად გატაცებული და განადგურებული. სოფელ ყანათის კოოპერატივი მთლად გაძარცვულია, რომლის ზარალი (ძველი ფასებით) მილიონზე მეტია. რომ ქართული სოფლები ოსებისაგან კარგ ყოფაში არ არიან, ამას ნათლად ამტკიცებს ისიც, რომ ქართველმა მოსახლეობამ უკვე მიატოვა თავისი სოფლები: აწრის ხევი, საცხენეთი, ბელოთი და სხვა და ბარისაკენ დაიძრა. საქმე იმაშია, რომ ამ განაწამებ ხალხს თავის საკუთარ ქონებას არ ანებებენ ოსები,—თუ გინდათ ცარიელები წადითო...

ამ დროს კი სამხრეთ ოსეთის რევკომის წარმომადგენლები მუსიკით დასეირნობენ ქართულ სოფლებში და შაბლონურ შინაარსის მიტინგებს აწყობენ, სადაც ხალხი ვითომდა გამოსთქვამს აღტაცებას და კმაყოფილებას ეხლანდელი თავის მდგომარეობით. სოფ. ყანათში ამას წინად მიტინგი იყო გამართული, რომელსაც ორიოდე ათეული კაცი ძლივს დაესწრო, ისიც მეტი წილი ოსობა; თუმცა კი ზომები იყო მიღებული, მუზიკას გრიალი გაჰქონდა, რომ ხალხი მიეზიდნა. ამ მიტინგზე ადგილობრივ ქართველებს მიმართავდნენ რომ მათ ოსებისთვის მიწები დაეხნათ და დაეთესნათ, თანაც აფრთხილებდნენ, რომ თუნდაც ასე არ მოხდეს, როცა ოსებს პინახული არ ექნებათ და თქვენ გექნებათ, მაშინ მთავრობა თქვენ ჩამოგართმევთ და ოსებს უწილადებსო. აღსანიშნავია, რომ მიტინგის გათავების შემდეგ ხალხს სთხოვდნენ მუსიკაზე ეცეკვათ, მაგრამ მიუხედავად მათი დაჟინებითი თხოვნისა ხალხს არ უცეკვია. ისევ თვით მოუხდათ ცეკვა. დამახასიათებელია ერთი ახალგაზდა გლეხის შენიშვნა. მან თქვა, როგორც გამ. „ტიტანიკის“ დაღუპვის დროს ხალხს მუსიკით ართობდნენ, ჩვენც ამ უბედურების დროს მუსიკით გვართობენ და ცეკვაზე გვეპატიჟებიანო...!!

ყველა ამის შემდეგ ხალხს გული აცრუებული აქვს სამუშაოზე, უფრო კი იმიტომ, რომ ოსები ეხლავე არა მალავენ თავის ბოროტ განზრახვას; ისინი ამბობენ—დაიცადეთ, ჯერ პინახული მოიყვანეთ და მერე ჩვენ მოვმკითო, ამას გარდა ეხლავე სოფლებში დადიან ოსები—ქალი და კაცი ტომრებით და პურს ჰკრეფენ ვითომდა თხოვნის სახით მაგრამ თუ ვისმეს აგულებენ და ვერ ძიიღეს ნებით, შემდეგ ძალით წაიღებენ: ამის გამო რამდენიმე სოფელი უკვე შეიარაღებულია და ყოველს ქმნს ეზადაა წინააღმდეგობა გაუწიოს ასეთ ძალადობას.

ყველა ამ უბედურებაზედ დაერთო რუს ჯარის კაცების სოფლებში ჩაყენება, რომელნიც ორ-ორი არიან ჩასახლებულნი თითო ოჯახში. ყოველი ხარჯი ამ ჯარის-კაცების გამოკვებისა აწევს ოჯახის პატრონს, რომელსაც ჯარისკაცები ხშირად არ ერიდებიან და შერჩეულ საჭმელებს სთხოვენ. გარდა ამისა ყველამ იცის თუ რა გაცხელებული მუშაობაა ესლა სოფლად და ამ დროს ბევრი ოჯახის პატრონი მამ. კაცი ოჯახს თავს ვერ ანებებს და სამუშაოს სცდება იმ მიზეზით, რომ მას არ შეუძლია მანდილოსნები სახლში დასტოვოს უცხო სტუმრების ამარა.

მიმინო.

*) მანდატში რუსულად ასე სწერია: Имеет право арестовать кого захочет, а при сопротивлении употребить оружие.

## ახალი ამბები

— გვთხოვენ გამოვაცხადოთ, სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტის მე 8 სემესტრის სალექციო წიგნაკი სტუდ. ი. მაათიაშვილისა ამავე უნივერსიტეტიდან მიღებული ამა წლის აპრილის თვეში დაიკარგა რაიც ცხადდება გაუქმებულად.

— დახმარება სამხრეთ ოსეთის ქართველებს. გორის დ მოსაპნის(?) მაზრებში გაგზავნილ საგანგებო კომისიები სამხრეთ ოსეთის ქართველების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც დაზარალდნენ ამ რაიონში ოსების უკანასკნელ გადმოსახლებით, უკვე შეუდგნენ მუშაობას. აღმოსავლეთ საქართველოს კომისიის მუდმივი ბინა, რომლის თავმჯდომარეც არის ამხ. გ. რატიშვილი იმყოფება გორში, დასავლეთ საქართველოს კომისიას კი ს. ჯ.-მაშვილის თავმჯდომარეობით მუდმივი ბინა აქვს ზუგდიდში, იმ პირთ ვისაც სათანადო პრეტენზიები აქვთ, უნდა მიმართონ თავისი განცხადებით ამ კომისიებს მათი ბინადრობის მიხედვით.

— კოწია გამსახურდია გვთხოვს გამოვაცხადოთ: წარსულ კვირეს მისი მოხსენება „იტალიის რენესანსი“ გადაიდო, რადგანაც ის დარბაზი მასწავლებელთა სახლისა, რომელშიაც საისტ. საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომები იმართებოდა, წინდაწინ დაეკავებინათ მასწავლებელთა სასადილოსათვის. საისტ. საეთნოგრაფიო საზოგადოება ეძებს ახლა ახალ დარბაზს და კ. გამსახურდიაც განაგრძობს თავის მოხსენებებს იტალიის რენესანსზე, როგორც კი შესაფერი დარბაზი მოიძებნება.

## რადიო

**პოლონეთის საიდუმლო დიპლომატია.**

ნაუენი. მაის. 18. გერმანიის მთავრობამ ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობას მრავალი საბუთები წარუდგინა იმის შესახებ, რომ ზემო-სილეზიის აჯანყებას საიდუმლოთ მფარველობდა პოლონეთის მთავრობა. გერმანიის ყველა პროფესიონალურმა კავშირებმა სასტიკი პროტესტით მიმართეს ბერლინში მყოფ ანტანტის ყველა ელჩებს.

მდგომარეობა ინგლისში.

ნაუენი მაისის 18. [illegible] გზელემმაც [illegible] მომუშავეთ [illegible] ზით ინგლისის მდგომარეობა უფრო გაუარესდა. (საშ. საგ. კომ. საინფ. ბიურო).

## ბათომი

**ტყის სიმდიდრე ბათომის ოლქში.**

მთელს ოლქში ტყიდან ადმატების რაოდენობა უდრის 250,000 დესეტინას. თითოეულ დესეტინა ადგილზე საშუალო მოსავლის რაოდენობა უდრის 30 კუბ. საჟენს. მთელი რაოდენობის ერთიმეოთხედიც რომ დამუშავდეს თანდათანობით ყოველ წლიურად შეიძლება მივიღოთ არა ნაკლებ 16.00 საჟენის. ტყით სწორი სარგებლობისათვის განზრახულია გზების გაყვანა ტყის რაიონებში. თითქმის საჭყეო სიმდიდრის კერძო სარგებლობა დიდს განძსა და დირებულებას მოგვცემს, რომლის გამოყენება ადგილობრივი მოთხოვნილებისათვის და საქონლის გაცვლა გამოცვლის მიზნით თამამათ შესაძლებელი იქნება.

ბათომის ოლქში ნატანებსა და რიონს შუა დამზადებულია დიდძალი სატრანსპორტო მასალა, უმთავრესათ კაკლის ხისა.

**ჩაის დამზადება.**

ჩაის პლანტატორთა სასურსათო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სოფლის მეურნეთა წასახალისებლად ჩაის კულტურის გაფართოვების საქმეში განზრახულია სოფლის მეურნეებს მისცენ სურსათი და პირველ საჭიროების საგნები.

## პარტიაში

**საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის მთავარი და დროებითი მთავარი კომიტეტების 3 რტიული(?) კომისია იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ მე-6 კონფერენციას ხუთ ივნისს.**

—

კვირას, მაისის 16. პერევისის სკოლის დარბაზში შესდგა სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ. პარტიის პერევისის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება ამხ. წერეთლის თავმჯდომარეობით, რომელზედაც აგრეთვე დაესწრნენ არა ორგანიზაციის წევრები; კრებაზე თანამედროვე მომენტისა და პარტიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დავით წერეთელმა რომლის შემდეგ გაიმართა შეკითხვები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ორგანიზაციამ სავსებით მოიწონა პარტიის მუშაობა. მე-VI თავისუფალ კონფერენციაზე არჩეულ დელეგატს დაევალა დაიცვას პარტიის მთლიანობა.

საორგანიზაციო ტექნიკ. საკითხების მოგვარების შემდეგ კრება დაიხურა სად. 7 საათზე. ამ სოფელში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როგორც რევკომში ისე მომხმარ. საზოგადოდ არჩილ ჯორჯაძის საკვირაო სკოლაში, რომელიც ამ დღეებში კვლავ განაახლებს მუშაობას ყველა ჩვენი პარტიული ამხანაგები არიან.

რედაქტორი თედო ღლონტი.

გამომცემი ცენტ. მთავარი კომიტეტისა.

**დაიკარგა** მატრიკული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიცემული—სტ. სპირიდონ ონიანის სახელზე გაუქმებულად ითვლება სპ. ონიანი. 1025.

**დაიკარგა** მატრიკული სამედიცინო ფაკულტეტის მე-5 სემესტრის სტუდენტ კაპიტონ როგავამ, რაიც ჩაითვალოს გაუქმებულად. 1027

**დაიკარგა** უვადო პასპორტი ტფ. პოლიცეისტრისაგან მიცემული № 92 ჩაითვალოს გაუქმებულად არსენ გლახუნის ძე შოვნაძე. 1026

ქალ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე

═ ამზადებს ═

საზაფხულო განმეორებითი გამოცდებზე:

მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებელში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, აფთიაქის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე

მისამართი: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 9—11 ს. 2—5 ს. 1015